# ახალი გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 319. კვირა, 5 ივნისი 1911 წ. დამატების № 56


### პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების წევრნი

გ ა ბ რ ი ე ლ შ ა ფ ლ ე.

ა ნ დ რ ე მ ა რ ტ ე ნ ი.

(იხილეთ დღევანდელი გაზეთი).

# მ ე ბ ო ლ ბ რ ო ლ ბ ა

(დრამა 4 მოქმედებად)

(შემდეგი *)

**თამარ.** (ამპტიურად ამთქნარებს). კიდევ კარგი, რომ ეს უბრალო სურათი შემხვდა... არა, არჩილ?!.. თითქმის არაფრის შეკერვა არ დიმჭირდება!.

**არჩილ.** (სწერს). სულ ტიტველა რომ გახვიდე, უფრო იაფად გადარჩები!..

**თამარ.** შენ მგონი კმაყოფილი არა ხარ ჩემი თანხმობით!..

**არჩილ.** გამოკანა გერგება!..

**თამარ.** თუ ეგრე გწყინს, უარს ვეტყვი...

**არჩილ.** მაგით ჩემი წყენის მხოლოდ ერთი მხარე გასწორდება,—ისიც მცირედი...

**თამარ.** როგორ?!..

*) იხ. სურათებიანი დამატება № 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არჩილ.** (ადგება). მე ვერაფრად მესიამოვნება შენი შიშველა ტანის გამოფენა ხალხის საცქერლად, მაგრამ უმთავრესი მიზეზი ჩემის სევდისა ის არის, რომ შენ არა გაქვს შეგნება, ქალური მორცხვობა, სათუთი გრძნობა!.. შენ უარს იტყვი ნეზოლოდ იმისთვის, რომ მე არა ბსურს, მაშასადამე, შენ ში ქალურ ამპარტავნობასა სძინავს!..

**თამარ.** რაში ჰხედავ უპატიოსნობას?!..

**არჩილ.** ტიტველა ქალის გამოტანა სცენაზე მავნებელია თვით ქალისთვისაც და საზოგადოებისთვისაც,—მაშასადამე, უზნეო!..

**თამარ.** როდის აქეთ გახდი ჩადრის მოტრფიალე?!..

**არჩილ.** (თავს იკაკუნებს). კარგად უნდა გრძნობდე მაგ კითხვის უადგილობას, მაგრამ ამ ბოლო დროს ფუქსავატმა ცხოვრებამ... მოგიჩადრა აზროვნება!.. (ბაუზა). იყო დრო, როდესაც ადამიანის სხეული სათაყვანებლად, მშვენიერების ღმერთად იყო დასახული... ეხლა-კი სქესობრივი გრძნობა იქამდის გაირყვნა, გამწვავდა, გაცოფდა, რომ რვა წლის ბავშვსაც-კი არ შეუძლიან უმანკოდ მიეკრას ლამაზი ქალის მკერდს; ხუთმეტი წლისას ქალის ლანდი არ ასვენებს ძილში; თვრამეტი წლისას ჯოჯოხეთის ვნებით ემღვრევა შავი სისხლი ტიტველა ქალის დანახვაზე!.. ამ უდროოდ მომწიფებულ, გარყვნილ გრძნობაში ჩაინთქა მშვენიერება!.. ნუ სცბიერობთ ქალები, ვითომც არ გესმით, თუ რა „ესთეტიურ“ გრძობას აღვიძებთ თქვენი ტიტველა გულ-მკერდით!.. იქამდის დაჰკარგეთ გრძნობის სიწმინდე, ქალური სინარნარე, რომ ამპარტავნობთ კიდეც, თუ მრავალ ხვადს თვალები სისხლით ემღვრევა თქვენდამი ლტოლვილებით!..

**თამარ.** მამა-კაცების გარყვნილობაში ჩვენ დამნაშავენი არა ვართ!..

**არჩილ.** ლილა გაუხუნდა მაგ თქვენს ცბიერებას!.. უნდა იცოდეთ, რომ ადამიანი იმას-კი არა ჰხედავს, რაც თვალს წინ უდგა, არამედ იმას, რაც თვალს უკან, ესე იგი, გრძნობაში, სურვილებში!.. სიმშვენიერის ნამდვილი მოტრფიალე ქალის ლამაზ სხეულში იხილავს მშვენიერებას; იგივე ქალის ტანი დაანახვეთ მშიერ ვეფხს,—ის დაინახავს გემრიელ ხორცს და ცხელ სისხლს... იგივე შიშველი ტანი დაანახვეთ გარყვნილ კაცს და ის იხილავს თავისი გარყვნილ სქესობრივ გრძნობის დამაკმაყოფილებელ საგანს!.. შენი ადამიანური ღირსება და ჩვენი სიყვარული ვალადა გდებენ დაუფიქრდე ყველა ამას!..

**თამარ.** ეგ ჩემს პირადოვნებას ეხება!

**არჩილ.** ძალიან სცდები!.. შენ მოვალე ხარ უმწიკვლოდ შემინახო შენი ქალური პატიოსნება!.. როგორც სხვა ქალებმა, შენც კარგად იცი, რომ იმ დამეს რამდენიმე ასი გაცოფებული თვალი მიაჩერდება შენს ტანს, რამდენიმე ასი კაცი მანძილზე სქესობრივ კავშირს დაიჭერს შენთან!.. რა სახელი აქვს ამისთანა ქალს?!..

**თამარ.** განა ქუჩაში-კი მაგავე თვალით არ გვიყურებენ მამაკაცები?!..

**არჩილ.** მართალია, მაგრამ იქ ქალი დამნაშავე არ არის... შენ-კი ამასაც არა სჯერდები, იხდი ტანთ და მაღლობზე სდგები საცქერლად: „თანახმა ვარ ყველაზედო!“ შენ ჰქურდავ ჩემ სიყვარულს!..

**თამარ.** რა დაგემართა, არჩილ?!.. დღემდის შენგან მშვიდი ალერსის მეტი არა გამიგია-რა და უცებ ეგ...

**არჩილ.** დიდმა მორევმა დაიგუბა, თამარ, ჩემს გულში! მკვიდრად შევეხლუდე ეს მორევი, რომ ერთი წვეთიც არ დასცემოდა შენს უზრუნველ ცხოვრებას, მაგრამ შენმა სიჩატემ, უგრძნობლობამ ძირი გამოუთხარა ამ ხლუდეს... მორევმა იქუხა და წალეკა ყველა დაბრ-



ან. კლდიაშვილის მიერ მოგონილი ჰაეროპლანის გეგმა.

კოლება!.. ღმერთმა დასწყევლოს ის დღე, როდესაც შენ თავი დაანებე მასწავლებლობას და რკინის გზის სამმართველოში მიიღე სამსახური!.. ღმერთმა დასწყევლოს ეგ მშვენიერი შენი ტანისამოსი, შენი ეხლანდელი უზრუნველი კმაყოფილება!.. დავკარგე ჩემი საყვარელი თამრიკო!.. შენ სახელი-ღა შეგრჩა ჩემი ძვირფასი თამროსი!.. სად არის შენი მშვენიერი, კამკამი თვალები,—რად აიმღვრა?!.. ხმის ეგ ახალი კილო, ქცევა, მიხვრა-მოხვრა!.. ქუჩაში რომ დადიხარ, ყველა იმ თვალით გიყურებს, ასე გონია, ტიტველა ქალი გავარდნილაო!.. რა მიზეზია?!.. შენისთანა და უფრო ლამაზებიც სხვებიც არიან, მაგრამ ყერავინ ჰბედავს ვაჭრული თვალით ათვალიერებას!.. შენ იმისთანა მიხვრა-მოხვრა, გამოკრული ტანის ერთგვარი ტოკება შეითვისე, რომ მაყურებელი შუა ქუჩაშივე გხდის ტანთ, გატიტვლებს!.. დიახ,—დაჰკარგე პატიოსნური გარეგნობა!

**თამარ.** გაჩუმდი, არჩილ!

**არჩილ.** დიდი ხანი ვიყავ გაჩუმებული!..

**თამარ.** ბარემ უკანასკნელი სახელიც მაკადრე და მორჩი!

**არჩილ.** არა, თავს შევიმაგრებ, თუმცა დიდ მსგავსებასა ვხედავ!.. შენ დიდ რამედ მიგაჩნია, რომ ფაქტიურად სხვა მამა-კაცს არ ეკუთვნი!.. ვინც შენსავით მანძილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ყველას ნებას აძლევს, ის უკვე მეძავია და ამ მანძილსაც ჩქარა შეამოკლებს!..

**თამარ.** მე საბუთს არავის ვაძლევ არშიყობისთვის!..

**არჩილ.** სცრუობ!.. რაც გინდა თავხედი იყოს მამა-კაცი, თავის დღეში არშიყობას ვერ შეჰბედავს, თუ ქალსაც არა ჰსურს!.. პირველივე ცდის შემდეგ ენა ჩაუვარდება, თუ ქალს იქამდისა აქვს გაღვიძებული თვითცნობიერება და ქალური სიამაყე, რომ შეურაცყოფად სთვლის ყოველიკე არშიყულ შეთამაშებას!.. არ გესმის განა!.. ან როგორ გაიგებ, როდესაც შენ გაკლია ქალური... არისტოკრატიზმი!.. დიახ,—არისტოკრატიზმი გრძნობისა, აზროვნებისა!.. არისტოკრატიზმი ქალური თავმოყვარეობისა, სიყვარულისა!.. (ცვებ). ღმერთო ჩემო, რა ენით, რა კილოთი ველაპარაკები ჩემს თამრიკოს!.. ნუ თუ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ ამ წრემდე მივიდოდით!.. (თამარ დაეშვება, ხელებზე თავს დაიდებს. არჩილ მოეხვევა). თამარო, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო!.. მოიგონე ჩვენი სიყვარულის სათაური, ჩვენი გულის კამკაში გაზაფხული, როდესაც ძილშიაც-კი ერთმანეთს შევხვალოდით და ვეტრფოდით ჩვენი შეერთების ოცნებას!.. დაგავიწყდა ის ნეტარი ცრემლები, რომლებსაც ველარ იტევდა ბედნიერი თვალი და სავსე გული თრთოდა მძლავრი სიყვარულით შეშფოთებული!.. გახსოვს, თამრიკო, მხარს ქვეშ რომ ამომიჯდებოდი, ბავშვივით მომეკროდი და ვერა სძღებოდი ჩემის ლაპარაკით და ალერსით!.. ეხლა?!.. სად არის ჩემი თამრიკო, ჩემი მეგობარი?!.. რად დამაობლე თამარო?!..



მიქელ ანჯელო. ადამიანის შექმნა.

**თამარ.** (ქვითინით მოეხვევა არჩილს). მაპატიე, მაპატიე, ჩემო არჩილ!.. მე შენი ღირსი არა ვარ... გარყვნილი, გაფუჭებული... (იხოჭავს და ხელებზე ჭკოცნის).

**არჩილ.** ადექ, ადექ, ჩემო კარგო... თავს ნუ იმცირებ...

**თამარ.** (დგება). ეს თავის დამცირება არ არის: ეს სუსტის თაყვანის ცემაა მძლავრის წინაშე!.. ხან-და-ხან ისეთ ძალასა ვგრძნობ, რომ მზადა ვარ დავთრგუნო ჩემი სისუსტე, მაგრამ... ცოტა ხანს შემდეგ მკლავები ისევ უღონოდ ჩამომეშვება და ცხოვრების ტალღა ნაფოტივით მიმაქანებს!.. შენი სიყვარული, შენი მძლავრი სიტყვა მკვდარსაც-კი აამოძრავებდა საბრძოლველად!..

**არჩილ.** სიტყვა, სიტყვა!.. სიტყვა რომ ეგეთი უებარი მალამო იყოს, ერთი ურიგო ადამიანი აღარ დარჩებოდა ქვეყნიერებაზე!..

**თამარ.** (ენერგიულად). ერთი კიდევ შეეებრძოლები ჩემ სისუსტეს,—უკანასკნელად!.. თუ ვძლიე და დავამსხვრიე უწმინდურების ბორკილი, მუხლ-მოდრეკით მოგითხრობ აღსარებას, თუ არა და... (ზუზა).

**არჩილ.** თუ არა და?!..

**თამარ.** ადგილი აღარ მექნება შენი პატიოსანი გულის გვერდით!

**არჩილ.** თავს დამანებებ?!..

**თამარ.** არა!.. ერთ სიტყვას გეტყვი და...

**არჩილ.** და?

**თამარ.** შენ თითონ მომიშორებ!..

**არჩილ.** თამარ!..

**თამარ.** გთხოვ, არჩილ, შევწყვიტოთ ეს ლაპარაკი... ნუ მტანჯავ!.. შენ მგონი საქმე გაქვს, წადი... დამტოვე მარტო...

**არჩილ.** (ჩაფიქრებული ქადაგდებს იდებს). ერთ სიტყვას!.. (მიდის. კარებში შედგება და თამარს უყურებს. თამარ ისევ სასოწარკვეთილებით დაეშვება და ხელებზე თავს დაიდებს). ერთ სიტყვას!.. (კადის).

**თამარ.** (ზაუზის შემდეგ). ღმერთო ჩემო!.. რომ იცოდეს არჩილმა, რა წუმპეში ვგდივარ!.. ღმერთო, ღმერთო!.. ნუ თუ ძალ-ღონეს ვერ მოვიკრებ, რომ ყველაფერი ვუთხრა არჩილს?!..

(შემოდის სარდიონი).

**სარდიონ.** გამარჯობაი, ქ. თამარ!.. (თამარ შეკრთება). არჩილი შინ არის?..

**თამარ.** (არ უყურებს; ცივად), არა.

**სარდიონ.** (მარდად მიუახლოვდება და მოხვევნა უნდა). მაშ მარტო ხარ, თამრუნი!.. (თამარ ხელით მოიშორებს). ეჰე!.. გუნებაზე არა ხარ!.. რა მოხდა?..

**თამარ.** არაფერი...

**სარდიონ.** (კიდევ დამბობს მოხვევნას). ჩემო...

**თამარ.** თავი დამანებეთ... (ტირის).

**სარდიონ.** რა იყო, თამრიკო, ხომ არაფერი გაუგია არჩილს?!..

**თამარ.** რომ გაეგო, სჯობდა... მე აღარ შემიძლია ვატყუო მისი პატიოსნური გულმონდობილობა!..

**სარდიონ.** ჰოო!.. მეც არა ვთქვი, თუ რა!.. ხმა სინიდისისა?!.. რატომ, რატომ!.. სახლში ისეთი მქადაგებელი გყავს, რომ...

**თამარ.** პირი გამოირეცხეთ, როცა არჩილზე ლაპარაკობთ!.. თქვენი სწორი მე ვარ!..

**სარდიონ.** ჰოო... ნახვამდის!..

**თამარ.** მოიცათ!.. სათქმელი მაქვს...

**სარდიონ.** ბრძანეთ!..

**თამარ.** მე მინდა ყველაფერი ვუთხრა!

**სარდიონ.** რატომ, რატომ!.. მაგრამ... მერე?!

**თამარ.** რაც იქნება—იქნება!

**სარდიონ.** ნება მიბოძეთ გკითხოთ: ვისი ან რა ინტერესი გაიძულებთ?..

**თამარ.** მოსვენება აღარა მაქვს... მინდა...

**სარდიონ.** გული დაიმშვიდოთ?!..

**თამარ.** დიახ!..

**სარდიონ.** მაშასადამე, თქვენ ისევ თქვენს თავზე ზრუნავთ!..

**თამარ.** გარდა მაგისა, მინდა ჩემი დანაშაულის სასჯელი ვზიდო!..

**სარდიონ.** არჩილის ზურგით?

**თამარ.** არა!..

**სარდიონ.** როგორ არა, რომ თქვენს ღალატს არჩილი ვერც დაივიწყებს და ვერც გაპატიებთ!.. ეს იმის სიკვდილს უდრის... თქვენ შემოგწირათ ცოლი, შვილი—მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე!.. იტანჯეთ თქვენ და არჩილს-კი დანა ააცდინეთ,—აი ნამდვილი მსხვერპლი!..

**თამარ.** თქვენ მე უნდა თავი დამანებოთ!..

**სარდიონ.** არ შემიძლიან,—მეც შემიყვარდით!..

**თამარ.** მე რომ შეგაძლებინოთ?!..

**სარდიონ.** შურს ვიძიებ!..

**თამარ.** ღმერთო ჩემო!.. (სასოწარკვეთილებით ტირის).

**სარდიონ.** ნუ სწუხარ ეკრე, თამრიკო... დამშვიდდი და მაშინ გულ-დადინჯებით მოვილაპარაკოთ... ეხლა-კი ნახვამდის, ჩემო მტრედო!..

**თამარ.** არ გიშლით!..

**სარდიონ.** ჩემო გუგულო!.. ხე-ხე... (კვდის).

**თამარ.** რა დამცირებამდის მივედი!.. ნუ თუ ვერ დავჭლეჯ ამ საძაგელ აბლაბუდას, რიმელშიაც ესე გავბმულვარ!.. (ფიცხლივ წამოდგება, დაიხურავს შლიაპას და მიდის. კარებში შედგება). არჩილი და ეს!.. ხა-ხა-ხა!.. (მარდად კვდის).

(სცენა კარგა ხანს ცარიელია. შემოდის არჩილ; ხელში წერილი უჭირავს და შინჯავს).

**არჩილ.** (წერილს გახსნის), უსახელოა... საძაგლობა იქნება რამე... დავხედ!.. (უნდა დახიოს, მაგრამ უცებ შედგება, დაფიქრდება. კითხულობს). „ხელს არ ვაწერ მხოლოდ იმისთვის, რომ ისეც კარგად მიხვდებით, ვინც არის ავტორი... მე ეხლა შურს ვიძიებ: დადგა დრო თქვენი დამცირებისაც!.. აბა ერთი ჰკითხეთ თქვენ საყვარელს, —რა ჯამაგირს იღებს?!.. ვთქვათ ოთხ თუმანს... თუ გამოგიტყდათ, გაიგებთ, რომ ჯამაგირს გარდა „საჩუქარს“ იღებს ჯამაგირზე მეტს!.. ქალის ჭკუა, შეიძლება, ვერ მიჰხვდეს ამ არაჩვეულებრივ მოვლენას, მაგრამ თქვენ, ჭკუის კოლოფო, როგორ აჭხსნით ამას?!.. ვერ მიმხვდარხართ, ვისი ჯიბიდან ან „რა საშსახურისთვის“ ეძლევა ეს საჩუქარი?!..

(შემოდის კოტე გოგიბაძე; სიზარუნულო ბალტო აცვია და ხელში შლიაპა უჭირავს).

**კოტე.** (საიდუმლოდ). არჩილ!..

**არჩილ.** (გაოცებული). კოტე, შენ!..

**კოტე.** მარტო ხარ?.. ელიკო მოგიყვანე...

**არჩილ.** (აფრთოდებული). ელიკო?!.. სად არის?..

**კოტე.** აქ... კარებთან... დიდ ხანს ნუ დაიჭერ... (მარდად კვდის).

**არჩილ.** (ფაცი-ფუცი შეუდგება და მოუთმენლად კარებისკენ იყურება).

(შემოდის ელიკო და კარებთან ჩერდება).

**არჩილ.** (მიეარდება და ხელებს დაუჭერს). ელიკო... შენა ხარ ელიკო?!..

**ელიკო.** ღიახ!.. კოტემ შემომგზავნა...

**არჩილ.** ჰო... კოტემ... ვიცი... მოდი, მოდი, ჩემო კარგო... დაჯექ... (თავისთვის იმეორებს). ელიკო... ელიკო... (ელიკო გაშტერებული უყურებს). დაჯექ... (დასვამს და გვერდით მოუჯდება). მე და მამა შენს ღვიძლი ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ერთმა გარემოებამ მტრობა ჩამოგვიგდო... შეურიგებელი მოკვდა მამა შენი, ჩემო ელიკო, და მე აქამდის ვიტანჯები... მინდოდა შენთვის მაინც მეთხოვნა შენდობა... ბავშვობაშიაც ძალიან მიყვარდი და ეხლაც მიყვარხარ შვილივით...

**ელიკო.** რატომ დედას არაფერი უთქვამს ჩემთვის!..

**არჩილ.** ალბად არ უნდოდა ამ უსიამოვნო ამბავის გამეღვიძებინა!.. ერთ დროს დიდი მეგობრები ვიყავით შენი დედ-მამა, მე და კოტე!.. შენ-კი ჩვენი საზოგადო ჩიტუნია—ასე გეძახდით!.. აქამდის მახსოვს შენი ბავშური ალერსი... ბევრი სიცელქე და ოინები მახსოვს შენი ბავშობიდან... კასკასი იცოდი იმისთანა, რომ გულს მოწოლილი სევდა ღიმილად გვექცეოდა ხოლმე!.. აბა, ნიკაპი აიწიე... აი, ისევ გეტყობა ხალი!..

**ელიკო.** მამა ჩემი რით მოკვდა?

**არჩილ.** განა კატოს არ უთქვამს?!..

**ელიკო.** დედას არ უყვარს ამაზე ლაპარაკი... გარკვევით არას მეუბნება... ცხოვრებამ გასრისაო!..

**არჩილ.** ჰო, ელიკო!.. ჩინებული კაცი იყო მამაშენი... პატიოსანი, პირდაპირი... ბევრი მტერი ჰყავდა და ცხოვრებასთან ბრძოლა უთანასწორო შეიქმნა!..

**ელიკო.** თქვენც ხომ იმის მტერი იყავით!..

**არჩილ.** არა, ელიკო: მე იმისთვივს თავის დღეში არ მიმტრია... რაკი ერთხელ დავშორდით, ცრუ თავმოყვარეობამ ნება აღარ მოგვცა შესარიგებლად პირველს გადაედგა ნაბიჯი!..

**ელიკო.** და ეხლაც ეგევე სიამაყე გიშლით დედასთან შერიგების?!..

**არჩილ.** არა, ელიკო... აქ კიდევ სხვა მიზეზია... შენ ვერ გაიგებ...

**ელიკო.** მე რომ გიშუამდგომლოთ ?!..

**არჩილ.** ეგ შეუძლებელია!.. დედა შენმა არ-კი უნდა იცოდეს, რომ შენ მე მნახე!..

**ელიკო.** არ მესმის!..

**არჩილ.** არის მიზეზი... ვერ გეტყვი!.. ან რად მოგესურვა ჩვენი მეგობრობის განახლება?!..

**ელიკო.** (დაფიქრებული). არის ხოლმე გამოურკვეველი გრძნობა... სურვილი. ასე მგონია სიზმარში მენახოს მამა, თქვენი მეგობრობა... სახე ისეთი,.. ტანჯული გაქვთ...

**არჩილ.** ელიკო, დედ-მამის მაგივრად... შენ არ შემირიგდები?..

**ელიკო.** დიდი სიამოვნებით!..

**არჩილ.** რომ არ იცი ჩვენი უნძრახობის მიზეზი!..

**ელიკო.** მე ვგრძნობ, რომ თქვენ შემთხვევის მსხვერპლნი ხართ და ამ დაშორების არც თქვენ დაუტანჯნიხართ ნაკლებად!..

**არჩილ.** ნება მომეცი მამა-შვილურად გაკოცო!..

**ელიკო.** ბატონი ხართ!.. (არჩიდა ჭკოტნის). მე უნდა გიახლოთ...

**არჩილ.** ესე ჩქარა...

**ელიკო.** მე ისეც დიდხანს ვაცდევინე კოტეს ქუჩაში.,. საქმეცა გვაქვს...

**არჩილ.** კარგი, კარგი... ერთი ეს მითხარ, კატო როგორ არის?..

**ელიკო.** დედა... ძალიან მხნეობს... თუმცა ეტყობა, რომ გული გაქვავებული აქვს მამი-ჩემის დაკარგვით... ეტყობა, ძალიან ჰყვარებია!..

**არჩილ.** ჰო, ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

**ელიკო.** (ადგება). მშვიდობით!..

**არჩილ.** მისდიხარ?!.. მოითმინე ერთ წამს... შენი ბავშვობის ნასახი მაქვს შენახული... ეხლავ გაჩვენებ... (კარების მეორე ოთახში).

**ელიკო.** (დაეურდნობა მაგიდას და წიგნებს შინჯავს. უცებ წაიკითხავს). „არჩილ ლომაური“!.. მამი-ჩემის წიგნი!.. (გაანაგრძობს წიგნის თვალიერებას).

(შემოდის თაბარ და გაოცებული შედგება. ელიკო ვერა ჭვედავს. თამარ წინ წადგება. ელიკო შეჭვედავს).

(შემდეგი იქნება)



რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი. მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“